

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 12 ოქტომბრის სხდომის ოქმი №15

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 25, სტუდენტი – 2, სულ – 27 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება  
/დევანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ  
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დისერტანტებისათვის შემფასებლების გამოყოფის შესახებ  
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, მ. ლობჯანიძე/
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დისერტანტებისათვის დაცვის კომისიების დამტკიცების შესახებ  
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, მ. ლობჯანიძე/
5. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების ნინო ტალიკაძისა და მარიკა შონიას სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ  
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, მ. ლობჯანიძე/
6. მიმდინარე საკითხები

დღის წესრიგში მოხდა ცვლილება - დაემატა შემდეგი საკითხი:

კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ლაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27  
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 12 ოქტომბრის №15 სხდომის დღის წესრიგი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 1990 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ  
*/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილი №19126/10, 19.09.2018) მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 1990 წლის კურსდამთავრებულ ნათელა თურნავას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ნათელა თურნავას სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის

შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ნათელა მურმანის ასული თურნავა 1985 წელს ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის დღის განყოფილების (რუსული სექტორი) მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/628, 25.08.1985).

ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1990 წლის 25 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1990 წლის 1 აგვისტოს №4/568 ბრძანებით თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების კურსდამთვრებულ ნათელა მურმანის ასულ თურნავას მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

1990 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ქურნალში დიპლომი წარჩინებით TB-I №083318 (სარეგისტრაციო №01/322) რეგისტრირებულია ნათელა მურმანის ასულ თურნავას სახელზე.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1990 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედებდა ოთხი სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 17 ოქმი. თითქმის ყველა ოქმზე მითითებულია თარიღი, თუმცა ყველა ოქმი დანომრილი არ არის.

**ეკონომიკის ფაკულტეტის №1 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: დოც. ი. იაკობიძე; წევრები: პროფ. დ. ადეიშვილი, პროფ. ბ. გაბიძაშვილი, პროფ. რ. გოგოხია, დოც. კ. გიგაშვილი; გამომცდელები: პროფ. მ. ტურავა, დოც ქ. კოპალეიშვილი, დოც. გ. მაზიაშვილი)** მიერ სავარაუდოდ 1990 წლის 21 ივნისს წარმოებულია 3 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ ოქმზე, კერძოდ, დღის განყოფილების პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობის კურსდამთვრებულთათვის ხარისხის მინიჭებისთვის განკუთვნილ ოქმზე კომისიის წევრებთან ერთად არ არის დაფიქსირებული გამომცდელების გვარები (გამომცდელები: პროფ. მ. ტურავა, დოც ქ. კოპალეიშვილი, დოც. გ. მაზიაშვილი), ასევე, არ არის დაფიქსირებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ჩატარების წელი. ოქმში მითითებულ კურსდამთავრებულებთან (თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები: ინგა ბალარჯიშვილი, ნანული ოქრუაშვილი) გასაუბრებისას, დადგინდა, რომ კომისია შედგა 1990 წელს.

**ეკონომიკის ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. თ. გოქსაძე;**

წევრები: აკად. ვ. ჩანტლაძე, დოც. ნ. ბაგრატიონი, დოც. ჯ. კახნიაშვილი, დოც. ვ. ჭიაია) მიერ სავარაუდოდ 1990 წლის 20 ივნისს წარმოებულა 5 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და ყველა ოქმს მინიჭებული აქვს ნომერი (№21).

*ეკონომიკის ფაკულტეტის №3 (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის* (კომისიის თავმჯდომარე: კ. ი. პატიაშვილი; წევრები: პროფ. ო. ნ. საღარეიშვილი, დოც. თ. ა. ჭიაბრიშვილი, დოც. ვ. დ. ბადრიძე, დოც. ი. ო. გიგოშვილი, დოც. ჯ. ვ. ხარიტონაშვილი) მიერ 1990 წლის 11 ივნისს წარმოებულა 1 ოქმი, 1990 წლის 20 ივნისს - 2 ოქმი და 1990 წლის 22 ივნისს - 1 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი, მაგრამ არც ერთს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

*ეკონომიკის ფაკულტეტის №4 (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის* (კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ვ. რ. ახალაია; წევრები: დოც. ა. ნ. სილაგაძე, დოც. მ. ვ. გოცირიძე, დოც. ე. გ. მექვაბიშვილი) მიერ 1990 წლის 25 ივნისს წარმოებულა 5 ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია თარიღი და არ აქვთ მინიჭებული ნომრები.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის/აღდგენის მუდმივმოქმედ კომისიამ მოახდინა ამ უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1990 წელს თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №1 (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებულ პოლიტიკური ეკონომიის (დღე) და სტატისტიკის (დღე, საღამო) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რეკვიზიტები (ოქმი თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
  - ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების *პოლიტიკური ეკონომიის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 19... წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1990 წლის 21 ივნისი* და ნომერად *№1/პ*;
  - ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების *სტატისტიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის





წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1990 წლის 25 ივნისი* და ნომრად *№2/პ*,

- ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *მრეწველობის დაგეგმვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1990 წლის 25 ივნისი* და ნომრად *№3/პ*,
- ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების *სოფლის მეურნეობის დაგეგმვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1990 წლის 25 ივნისი* და ნომრად *№4/პ*,
- ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *სოფლის მეურნეობის დაგეგმვის* სპეციალობის კურსდამთავრებულებს *ეკონომისტის* კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1990 წლის 25 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს *1990 წლის 25 ივნისი* და ნომრად *№5/პ*.

5. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ 1990 წლის 11, 20, 21, 22 და 25 ივნისს წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში (*იხ. 1990 წლის 21 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები*; 2. *1990 წლის 20 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები (№21)*; 3. *1990 წლის 11, 20 და 22 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები*; 4. *1990 წლის 25 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები*) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ-ის ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№18088/10, 10.09.2018) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ ვალერი გურგენაძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე

დადგინდა, რომ ვალერი გურგენაძე 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალობაზე (ბრძანება №4/744, 02.08.2000) და 2004 წელს მიენიჭა დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაციით, სპეციალობით - დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია (ისტორიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №1, 24.06.2004 და თსუ რექტორის ბრძანება №4/840, 15.07.2004).

2001 წელს ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ვალერი გურგენაძე პარალელურ სწავლებაზე ჩაირიცხულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფოსა და მუნიციპალური მართვის სპეციალობის დაუსწრებელი სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების II კურსზე (ბრძანება №4/1001, 28.09.2001).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულ ვალერი ჯემალის ძე გურგენაძეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №დ/1) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ნოემბრის №4/1215 ბრძანებით - ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის“ სპეციალობით სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN#002420 (სარეგისტრაციო N01/3680) რეგისტრირებულია ვალერი გურგენაძის სახელზე.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ქალბატონ ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოზე დააყენა საკითხი, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 22 ივნისის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №დ/1) გადაწყვეტილებით ვალერი გურგენაძისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი თსუ რექტორის 2005 წლის 8 ნოემბრის №4/1215 ბრძანებასთან. კერძოდ, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის დაუსწრებელი განყოფილების 2005 წლის კურსდამთავრებულ ვალერი გურგენაძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით“. ამასთან, აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის



სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის ოქმში (შემაჯამებელი ოქმი №დ/1, 22.06.2005) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №დ/1, 22.06.2005) დაუსწრებელი განყოფილების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ ვალერი გურგენაძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „*ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით*“ მიენიჭოს „*ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით*“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №დ/1, 22.06.2005*) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ-ის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№20227/10, 03.10.2018), თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულ ტიტალ დასენისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ტიტალ დასენი 2000 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული

სწავლების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 26.08.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემადგამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 15 ივლისის №4/839 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ტიტალ დასენს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№12887 (სარეგისტრაციო №01/393) რეგისტრირებულია ტიტალი დასენის სახელზე.

ტიტალი დასენის სახელზე გაცემულ დიპლომის დანართში აღნიშნულია, რომ „ტიტალი დასენი დაბადებული 1981 წელს 2000 წელს ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე .... და 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობა - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

ტიტალი დასენის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/839, 15.07.2004) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტიტალი დასენის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (B №12887, სარეგისტრაციო №01/393) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 5 ივლისის სხდომის გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულ ტიტალ დასენს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „*ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით*“ უნდა მიენიჭოს „*ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით*“.

ქალბატონ ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 5 ივლისის სხდომის გადაწყვეტილებით ტიტალ დასენისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან. ამასთან, აღნიშნული ცვლილება უნდა განხორციელდეს

ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 5 ივლისის შემაჯამებელ სხდომის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 5 ივლისის სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) არასაბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ ტიტალ დასენს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „*ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტი კვალიფიკაციით*“ მიენიჭოს „*ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტი კვალიფიკაციით*“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 5 ივლისის შემაჯამებელი ოქმი №...*) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ-ს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (№20311/10, 04.10.2018), რომლითაც თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნუგა წერუაშვილის დიპლომის დანართი.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ნუგა წერუაშვილი 2001 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 02.08.2001).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2006 წლის 15 თებერვლის საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით

(შემაჯამებელი ოქმი №20) დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნუცა წერუაშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 5 მაისის №4/442 ბრძანებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN#003416 (სარეგისტრაციო №01/46) რეგისტრირებულია ნუცა წერუაშვილის სახელზე.

თსუ რექტორის 2006 წლის 5 მაისის №4/442 ბრძანებით ნუცა წერუაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, აგრეთვე მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2006 წლის 15 თებერვლის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№20) დაფიქსირებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში თსუ რექტორის 2006 წლის 5 მაისის №4/442 ბრძანებით მინიჭებულ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან.

ქალბატონ ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოზე დააყენა საკითხი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილება (შემაჯამებელი ოქმი №20, 15.02.2006) და თსუ რექტორის 2006 წლის 5 მაისის №4/442 ბრძანება და კურსდამთავრებულ ნუცა წერუაშვილს „*ბაკალავრის აკადემიური ხარისხის*“ ნაცვლად უნდა მიენიჭოს „*ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი*“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების

შესაბამისად ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მართვის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ნუზა წერუაშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვენ მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1.	კაჭარავა	გიგა	02001024684
2.	მანუჩარიანი	ამალია	10001053866
3.	ჯანელიძე	ჯაბა	01911099057

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1.	კაჭარავა	გიგა	02001024684
2.	მანუჩარიანი	ამალია	10001053866
3.	ჯანელიძე	ჯაბა	01911099057

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვენ კურსდამთავრებულთათვის შემდეგი ხარისხების მინიჭებას:

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1. კოკობინაძე ხატია 61006065410

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1. კოკობინაძე ხატია 61006065410

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია შუამდგომლობა, რომლითაც კურსდამთავრებულთათვის ითხოვენ შემდეგი ხარისხის მინიჭებას:

ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1. გორგილაძე ლუკა 61004071489
2. თევზაძე მიხეილ 01017043118

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულს:

*დიპლომი ჩვეულებრივი:*

1. გორგილაძე ლუკა 61004071489
2. თევზაძე მიხეილ 01017043118

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ტალიკაძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მანანა ლობჯანიძე/*

მოისმინეს ქალბატონ მანანა ლობჯანიძის ინფორმაცია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ტალიკაძის სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტმა ნინო ტალიკაძემ მოგვმართა განცხადებით (№6471/29, 20.10.2017) სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №8, 19.11.2010წ.) შესაბამისად ფაკულტეტის პერსონალს (ადმინისტრაციულ-დამხმარე ან აკადემიური), განესაზღვრათ შეღავათი, წლიური სწავლის საფასურის 50%-ის ოდენობით. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს (ოქმი №11, 20.10.2017წ.) გადაწყვეტილებით, როგორც ფაკულტეტის პერსონალ-დოქტორანტს, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სწავლის საფასურის შეღავათი განესაზღვროს წლიური სწავლის საფასურის 50%-ით, 1125 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართაკენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 27

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტს ნინო ტალიკაძეს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად გაეწიოს შეღავათი და სწავლის საფასური გადაიხადოს 50%-ის ოდენობით.

მოისმინეს: ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მარიკა შონიას სწავლის საფასურის შეღავათის შესახებ.

*/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მანანა ლობჯანიძე/*

